დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში

ლენინური სწავლების წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ოქტომბერი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 230 (14226)



3. ი. ლენინი თავის სამუშაო კაბინეტში. მოსკოვი, კრემლი, 1918 წლის ოქტომბერი

დაცეუფლოთ ლენინიზმს!

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში. ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანი — კომუნისტი და უპარტიო კვლავ მიუჯდება სასწავლო მაგიდებს და ჩვენი პროპაგანდისტების ხელმძღვანელობით შეუდგება მდიდარი ლენინური იდეური მემკვიდრეობის შესწავლას.

დიახ, ახალი სასწავლო წელი იწყება და რაოდენ ბევრს გვკვლევს იგი ჩვენ — ყველას, რა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს იგი თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, რომელთაც პარტიამ უშუალოდ მიანდო იდეურად დარწმუნებულ ადამიანთა აღზრდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დარწმუნება — ეს არის სიტყვისა და საქმის, აზრისა და მოქმედების ერთიანობა. მაგრამ ასეთი კეთილი ნაყოფი მზამზარეულად კი არ მოდის, არამედ თავს იჩენს როგორც პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე ადამიანთა აღზრდის შედეგი, როგორც სისტემატური პოლიტიკური სწავლების, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების შედეგი.

პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიული კომიტეტებისაგან, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ, რომ პარტიული პროპაგანდა, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ქვეყნის მთელი საფეხურზე აიყვანონ.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა აღნიშნა, ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავებით. ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი აპარატი ახლა მიმართულია იმისაკენ, რომ შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, რომ სოციალისტურ საზოგადოებას შიგნიდან გამოუთხაროს ძირი. სწორედ ამიტომ საჭიროა, უფრო აქტიურად ვამხილოთ იმპერიალისტთა იდეოლოგიური დივერსიები.

ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მარქსისტულ-ლენინური განათლება, კომუნისტთა იდეური ნრთობა. პარტია გამომდინარეობს იქიდან, რომ რევოლუციური თეორიის დაუფლება აუცილებელია მისი თვითეული წევრისათვის, სახელმწიფო, სამეურნეო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგის მუშაკისათვის.

პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაშიც მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული სწავლების დონე. სულ უფრო გაუმჯობესდა მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი ხელმძღვანელობა, ამ დიდი საქმისადმი მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ გაუკეთა ანალიზი რესპუბლიკაში კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური სწავლების მდგომარეობას და დასახა მისი გაუმჯობესების გზები.

ამ პლენუმის შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. ამიტომ არის, რომ ახალი სასწავლო წლისათვის, რომელიც დღეს იწყება, დროულად და გულმოდგინედ მოემზადნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები. ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ წელს პოლიტიკური განათლებაში გაცილებით მეტი მსმენელია ჩაბმული, ვიდრე შარშან, გათვალისწინებულია სემინარებსა და სკოლებში ჩაბმულ ადამიანთა ასაკი, ცოდნის დონე, მუშაობის სპეციფიკა და სურვილი, თვით სწავლების ფორმები და მეთოდები უფრო მდიდარია და უხვი, ამასთან ამ სასწავლო წლისათვის თავიდან იქნება აცილებული ის აჩქარება სასწავლო პროგრამის გავლისათვის, რასაც უწინ ჰქონდა ადგილი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხები დროულად განიხილეს პარტიულ კრებებზე და პრაქტიკული მუშაობაც გასწიეს, რომ განეხორციელებინათ მიღებული დადგენილებანი. პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის განსაკუთრებით მაღალორგანიზებულად მიემზადნენ თბილისის, ქუთაისის, გორის საქალაქო, ზუგდიდის, თელავის, ლანჩხუთის, სიღნაღის რაიონული და მთელი რიგი სხვა პარტიული კომიტეტები.

მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ახალი სასწავლო წლისა ის არის, რომ იგი წარიმართება ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მზადების ნიშნით, რომ ამ წელს ხალხი უწოდებს ლენინური სწავლების წელს.

ახალი სასწავლო წლიდან, ნინა წლებთან შედარებით, გაცილებით მეტია მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლის მსურველი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში გაერთიანებულია 106 ათასამდე მსმენელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოლიტიკური განათლების საქმეში ცენტრალური ფიგურა კვლავ და კვლავ პროპაგანდისტია. სწორედ მის უნარზე, მოამზადოს საერთო დონეზე, ოსტატობასა და პროპაგანდისტული მუშაობის სიყვარულზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყურადღება პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადებისადმი, რასაც მიეძღვნა ბევრი კარგად მოწყობილი კურსები, ზონალური სემინარები და თათბირები. სწორად მოიქცნენ ის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც შეარჩიეს და პარტიულ კრებებზე დაამტკიცეს სათადარიგო პროპაგანდისტებიც.

ამასთან ერთად პარტიული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანაა სერიოზული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობის პოლიტიკურ განათლებას. ახალგაზრდობის, კომკავშირელთა იდეური ნრთობისადმი ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანიზაციათა სასხლხორცეული საქმეა და ამიტომ არ შეიძლება, რომ იგი მარტო კომკავშირული კომიტეტების საქმედ მივიჩნიოთ.

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტში მოწვეულ თათბირზე, რომელიც პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა, უყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულ იქნა პოლიტგანათლების ქსელის დაკომპლექტებაში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, ფორმალიზმზე, რასაც, სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით.

თათბირმა ამასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა პრაქტიკულ მუშაობაში მთავარი ყურადღება მივაქციოთ ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას. პარტიული პროპაგანდისათვის მომავალი ორი წელიწადი მნიშვნელოვანწილად მიეძღვნება ლენინიზმის, ლენინის იდეების გამარკვევის პროპაგანდას, მშრომელთა აღზრდას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით.

მაშ, დიდი და ორგანიზებული პოლიტიკური მეცადინეობა იწყება... ახლა ყველაფერი დამოკიდებულია პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე, პროპაგანდისტებზე და თვით მსმენელებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ — ნათქვამია:

„პოლიტიკური მუშაობა წარმართოთ ისე, რომ საბჭოთა ადამიანები აღვზარდოთ ლენინური ანდერძისადმი ერთგულებისა და კომუნისტური რწმენის, კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ შეურიგებლობის სულისკვეთებით, შემდგომ განავითაროთ საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, ჩავუნერგოთ მას პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება“.

თვითეული კომუნისტი უნდა იყოს იდეურად აღჭურვილი მებრძოლი. სწავლა სკოლებსა და სემინარებში უნდა დაეხმაროს კომუნისტებსა და ათასობით შრომელს შემოქმედებითს ფიქრსა და ძიებაში, რეალური ცხოვრების გზებზე აქტიურ მოქმედებაში.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ დიდი ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის კიდევ უფრო ღრმად შესწავლისათვის. ბელადის ბიოგრაფიას, მის ცალკეულ ნაწარმოებებს ამ ახალ სასწავლო წელს გულმოდგინედ შეისწავლიან ის ამხანაგები, რომლებიც პარტიული განათლების ქსელში არიან ჩაბმულნი. მათ დასახმარებლად ბევრი რამ კეთდება ფაბრიკის პარტიული კომიტეტის პარტკაბინეტში.

სურათზე: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ბიბლიოთეკაში.

ფოტო ს. ბილაძისა.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა სიტყვა საქმედ აქციეს

ბ. კვარაცხელია,
საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი

□ ზუგდიდელმა მეჩაიეებმა თავდადებით იშრომეს და წარმატებაც მოიპოვეს. 29 სექტემბრისათვის მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 27.210 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 27.195 ტონისა.

□ ზუგდიდელებმა გადაწყვიტეს ფლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 800 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

სექტემბერში ისიც თვის ბოლოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება საამაყოდ როდი მიგვაჩნია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამინდის წლევანდელ არახელსაყრელ პირობებს, მოპოვებული წარმატება უთუოდ მეჩაიეთა თავდადებული შრომის შედეგია. რაიონის მშრომელებმა 29 სექტემბრისთვის გაანაღდეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. **სახელმწიფოს მიეყიდა 27.210 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 27.195 ტონისა.**

სექტემბერში საკრეფი ფოთოლი შედარებით უხვად შემოვიდა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს ამ პერიოდში კრეფის ტემპის გაძლერებისათვის. დაწესდა გაძარჯვებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სამახსოვრო წითელი დროშები, შეიქმნა რაიონული შტაბი, დადგენილ იქნა ათდღიური და ყოველდღიური გეგმები და სხვ.

შედეგიც შესანშნავია. სექტემბერში მოიკრიფა 5.140 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც აღნიშნული თვისათვის რეკორდული მაჩვენებელია.

რაიონის წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი **ი. ქანთარია**, პარტორგანიზაციის მდივანი **გრ. ჭოჭუა**, მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი **ა. შულაია**, მთავარი აგრონომი **მ. კვარაცხელია**), რომელმაც მოკრიფა 2.750 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 2.450 ტონისა, ეს ნაკისრ ვალდებულებაზე 10-ტონით მეტია.

დიდ მუშაობას ეწეოდა ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც წლების მანძილზე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ა. როგავა** ხელმძღვანელობს. მეურნეობის კოლექტივი, რომელიც ვალდებულებით 1.900 ტონა ჩაის ფოთოლი კრეფს, კომუნისტური შრომის ნოს ქალაქისა და რაიონის თითქმის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს.

კოლმეურნეობებს შორის ჩაის ფოთლის კრეფის წლიურ გეგმა პირველმა შაგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **ჯ. გუგუჩია**, პარტორგანიზაციის მდივანი **ა. ფარცვანია**) შეასრულა. ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი მეიტანეს ვიბიშარის, ჩხორიის, ნარაზენის, ორცხელის, კოლხიდის, ჭკადუაშის, ოქტომბრის და სხვა კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები **ო. ლურწკია, ო. ჭითანავა, გ. ნანავა, ი. თორდია, გ. ზაქარაია, ა. გელენიძე, კ. ალმასია**).

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოშა“ (თავმჯდომარე **ა. კუტალია**, პარტორგანიზაციის მდივანი **ჯ. ჯოჯუა**) მოკრეფილია 2 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობაში დღეისათვის ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილია 6.500 კილოგრამამდე.

კვლავ სასახელოდ შრომობს ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც ათეული წლების მანძილზე უნარიანად უძღვება ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ო. ეუფუნია**. ბრიგადამ წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და სამუალო მოსავლიანობამ 10 ტონას გადააჭარბა.

ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა კავშირის გმირის **გრიგოლ სხულუხიას** მეუღლე ქეთევანი და ქალაშვილი — სოციალისტური შრომის გმირი ვინარი სხულუხია.

ყველა მცხოვრების — მუშების, ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის თავდადებული შრომა, ჩვენი მეჩაიეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ოპერატორები, ლაბორანტები, ოსტატები, ბრიგადირები, ბაღჩეულები, ბაღოვნები, ფოთლის ამკრეფელ-ამკრეფელ ქალ-ვაჟთა ბრიგადები, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ავტოსაბაზის, ავტოფარეხის, ავტოგასამართი სადგურის, ავტოტრანსპორტის, ავტომანქანათა ბაზის, ავტომანქანათა ბაზის ავტოფარეხის, ავტოფარეხ-ავტოსაბაზის, ავტოფარეხ-ავტოგასამართი სადგურის, ავტოფარეხ-ავტოგასამართი სადგურ-ავტოსაბაზის, ავტოფარეხ-ავტოგასამართი სადგურ-ავტოსაბაზის-ავტოტრანსპორტის, ავტოფარეხ-ავტოგასამართი სადგურ-ავტოსაბაზის-ავტოტრანსპორტის-ავტომანქანათა ბაზის, ავტოფარეხ-ავტოგასამართი სადგურ-ავტოსაბაზის-ავტოტრანსპორტის-ავტომანქანათა ბაზის-

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში

ვისწავლოთ, რომ ვაშენოთ კომუნიზმი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა.

სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციიდან.

პარტიული სწავლება იდეოლოგიური მუშაობის საბრძოლო უბანია. ამიტომ კომუნისტთა თეორიული დონის ამაღლება, მათი იდეური წრთობა ყოველთვის უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანი. უკანასკნელ დროს სწავლებაში მომხდარმა სერიოზულმა ძვრებმა ხელი შეუწყო მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის გაუმჯობესებასა და გაღრმავებას, მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, მათში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ მხრივ გასული სასწავლო წელი.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად, რასაც საფუძვლად დაედო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება. გასული სასწავლო წლის შედეგების ღრმა ანალიზს, არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და მათი დაძლევის საშუალებათა გამონახვას მიეძღვნა პარტიული კრებები. ეს საკითხები ქალაქის ყველა რაიონის ბიუროს მსჯელობის საგნად გადაიქცა. რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე გაიმართა პრინციპული და საქმიანი საუბრები მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლების, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის შემდგომი განმტკიცების, თეორიის შესწავლისადმი კომუნისტების ინტერესის გაძლიერების საკითხებზე.

ქალაქის პარტიული აქტივის კრებას, რომელმაც განიხილა საკითხი გასული სასწავლო წლის შედეგებისა და დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, წინ უძღოდა თათბირი და სემინარები, პროპაგანდისტთა შეკრებები გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასარგებლო შეხვედრები ჩვენი ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებთან, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, პროპაგანდისტებთან, მსმენელებთან.

ამ შეხვედრებმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენი კადრების დიდი უმრავლესობა ჯეროვნად აფასებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მემკვიდრეობის საფუძველიანად შესწავლის მნიშვნელობას.

ახალი სასწავლო წელის სწავლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება პარტიული განათლების სფეროს გაფართოება. გასულ წელს ადგილი ჰქონდა უპარტიოთა სწავლების შეუფასებლობის ცალკეულ გამოვლინებას, რამაც გამოიწვია პოლიტიკური განათლების ქსელში უპარტიო მსმენელთა რიცხვის მკვეთრი შემცირება. განა დასაშვებია ისეთი მდგომარეობა, როცა მთელი რიგი ორგანიზაციების პარტიული განათლების ქსელში არც ერთი უპარტიო ამხანაგი არ სწავლობდა? ამასთანავე პარტიული განათლების გარეშე დარჩენილი უპარტიო მასები, კომკავშირული ახალგაზრდობა სათანადოდ არ იყო მიზიდული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთ ნაცადს და ქმედითს ფორმებში, როგორიც არის სახალხო უნივერსიტეტები, კომუნისტური შრომის, ეკონომიური პრობლემების შემსწავლელი სკოლები, ლექტორიუმები და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კერძოდ, გაიზარდა სახალხო უნივერსიტეტების ქსელი. წელს გაძლიერდება ეკონომიური, კომუნისტური შრომის სკოლების, ლექტორიუმების მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხების შესწავლას. გადიდდა პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ უპარტიოთა რაოდენობაც, განსაკუთრებით შემოქმედებითი და სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხარჯზე.

პარტიული სწავლების ერთ-ერთ სერიოზულ მოთხოვნად კვლავაც რჩება მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლება. რა დასამალავია, რომ გასულ სასწავლო წელს ჩვენს ზოგიერთ სკოლასა და სემინარს აკლდა თეორიული სიღრმე, შესამჩნევი იყო ფორმალიზმის ელემენტები.

ახალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ ძირეულ საკითხებს, როგორიც არის პროპაგანდისტის პასუხისმგებლობის ამაღლება, პარტიული განათლების თვითეულ რგოლში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სასწავლო პროგრამებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

მასების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროპაგანდისტებს. ეს კარგად ესმით ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთაც პროპაგანდისტები ყოველდღიური ზრუნვით ყავთ გარემოსილი. პროპაგანდისტულ მუშაობაში სულ უფრო ფართოდ ვიზიდავთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებს. შეიძლება ბევრი ისეთი მაგალითის დასახელება, როცა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები მზრუნველობით ეკიდებიან მშრომელთა იდეურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობის საპატიო საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ხელმძღვანელებიც გვხვდებიან, რომლებიც თავს არიდებენ პროპაგანდისტულ საქმიანობას ან და ფორმალურად ითვლებიან პროპაგანდისტებად.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობას წელს განსაკუთრებული მომთხოვნელობით მოვეკიდებით. საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელი ამხანაგები

საუბარი საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან

ო. ლოლაშვილთან

◆

საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები მზრუნველობით ეკიდებიან მშრომელთა იდეურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობის საპატიო საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ხელმძღვანელებიც გვხვდებიან, რომლებიც თავს არიდებენ პროპაგანდისტულ საქმიანობას ან და ფორმალურად ითვლებიან პროპაგანდისტებად.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობას წელს განსაკუთრებული მომთხოვნელობით მოვეკიდებით. საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელი ამხანაგები ისევ ნაცადს და ქმედითს ფორმებში, როგორიც არის სახალხო უნივერსიტეტები, კომუნისტური შრომის, ეკონომიური, პრობლემების შემსწავლელი სკოლები, ლექტორიუმები და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კერძოდ, გაიზარდა სახალხო უნივერსიტეტების ქსელი. წელს გაძლიერდება ეკონომიური, კომუნისტური შრომის სკოლების, ლექტორიუმების მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხების შესწავლას. გადიდდა პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ უპარტიოთა რაოდენობაც, განსაკუთრებით შემოქმედებითი და სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხარჯზე.

პარტიული სწავლების ერთ-ერთ სერიოზულ მოთხოვნად კვლავაც რჩება მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლება. რა დასამალავია, რომ გასულ სასწავლო წელს ჩვენს ზოგიერთ სკოლასა და სემინარს აკლდა თეორიული სიღრმე, შესამჩნევი იყო ფორმალიზმის ელემენტები.

ახალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ ძირეულ საკითხებს, როგორიც არის პროპაგანდისტის პასუხისმგებლობის ამაღლება, პარტიული განათლების თვითეულ რგოლში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სასწავლო პროგრამებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

მასების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროპაგანდისტებს. ეს კარგად ესმით ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთაც პროპაგანდისტები ყოველდღიური ზრუნვით ყავთ გარემოსილი. პროპაგანდისტულ მუშაობაში სულ უფრო ფართოდ ვიზიდავთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებს. შეიძლება ბევრი ისეთი მაგალითის დასახელება, როცა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები მზრუნველობით ეკიდებიან პროპაგანდისტებად. თეორიული სემინარების ხელმძღვანელებად როგორც სამინისტროთა აპარატებში, ისე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში.

მაგალითად, საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრი ვ. ვადაკკორია უხელმძღვანელებს სამინისტროში შექმნილ თეორიულ სემინარს, მინისტრის პირველი მოადგილე ო. ჩუბინიშვილი სათავეში ჩაუდგება ჩაის საწონი ფაბრიკის თეორიული სემინარის მუშაობას, ხოლო მინისტრის მოადგილე პ. ბაქრაძე თამბაქოს მეორე ფაბრიკაში იმუშავებს პროპაგანდისტად.

პროპაგანდისტულ საქმიანობაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა აქტიური მონაწილეობა ახალი სასწავლო წლის დამახასიათებელი ახალ სასწავლო წელს იმუშავებენ პროპაგანდისტებად. თეორიული სემინარების ხელმძღვანელებად როგორც სამინისტროთა აპარატებში, ისე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში.

მაგალითად, საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრი ვ. ვადაკკორია უხელმძღვანელებს სამინისტროში შექმნილ თეორიულ სემინარს, მინისტრის პირველი მოადგილე ო. ჩუბინიშვილი სათავეში ჩაუდგება ჩაის საწონი ფაბრიკის თეორიული სემინარის მუშაობას, ხოლო მინისტრის მოადგილე პ. ბაქრაძე თამბაქოს მეორე ფაბრიკაში იმუშავებს პროპაგანდისტად.

პროპაგანდისტულ საქმიანობაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა აქტიური მონაწილეობა ახალი სასწავლო წლის დამახასიათებელი

ექვსასზე მეტი მსმენელი — კომუნისტები და უპარტიოები შეუდგებიან მეცადინეობას ამ ახალ სასწავლო წელს თბილისის სალოკომოტივო დეპოში. სკოლებსა და სემინარებს გამოცდილი და საკმაოდ მომზადებული პროპაგანდისტები ხელმძღვანელობენ.

სურათზე: დეპოს მოწინავე პროპაგანდისტები (მარცხნიდან) ა. აზმაიფარაშვილი, გ. უნგიაძე და ა. ხარაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

იდეოლოგიური მუშაობის საფუძველი

ასე მოვეკიდეთ

● **ახალციხე.** (საკ. კორ.). კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სურვილის, მათი პოლიტიკური განათლების დონისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით რაიონის პირველადა პარტიულ ორგანიზაციებთან დაკომპლექტდა და დღეს მეცადინეობას შეუდგება 66 დაწყებითი პოლიტსკოლა, 7 მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლა, 84 სხვადასხვა თეორიული სემინარი და 15 საკონსულტაციო ჯგუფი, რომლებშიც 3.489 მსმენელია გაერთიანებული. მათ უხელძღვანელებს 205 პროპაგანდისტი, სემინარის ხელმძღვანელი და კონსულტანტი, რომლებიც ადრე გაეცნენ სამეცადინო პროგრამებსა და ლიტერატურას და ყოველმხრივ მომზადებული მიდიან მეცადინეობაზე.

● **გეგეჭკორი.** (საკ. კორ.). რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული განათლების ქსელის მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინა. კომუნისტებისა და უპარტიოების სწავლა მაღალ დონეზეა დაყენებული დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სალხინოს, გაქედილის კოლმეურნეობებში, გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკაში, რაიკომსკომის საფინანსო განყოფილებაში და ბაძის საშუალო სკოლაში.

წელს უფრო ორგანიზებულად დაიწყება სწავლა. 1968-1969 სასწავლო წელს რაიონში იმეცადინებს 136 სკოლა და სემინარი.

● **პარტიული** განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების საკითხებს მიეძღვნა რაიონის პროპაგანდისტების, პარტიული ორგანიზაციების მდივნების, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც ამ დღეებში პარტიის დუშეთის რაიკომის სალექციო დარბაზში გაიმართა.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი და ჩვენი ამოცანები — ასეთი იყო მომხსენების თემა. მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. არუთინოვმა და მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოსულმა პროპაგანდისტებმა ილაპარაკეს იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლთა განხორციელებაც გაუპირობებს მთელი სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვას.

ლ. ბოსროშვილი.

მეთოდური საბჭო ამ დღეებში

პარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლთან არსებული მეთოდური საბჭო გამოცდილ პროპაგანდისტებს, მეცნიერ მუშაკებს და პროპაგანდისტული მუშაობის მცოდნე მეთოდისტებს აერთიანებს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში მეთოდურმა საბჭომ მთავარი ყურადღება მიაქცია პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შეჯამებას, რათა გაანალიზა სასწავლო წლების ნაკლოვანებანი გამოსწორებული ყოფილიყო, უკეთესად დაგეგმულნენი პარტიული განათლების სისტემის მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში.

16-20 სექტემბერს მოეწყო პოლიტეკონომიის პროპაგანდისტების ხუთდღიანი გადასამზადებელი კურსები. საბჭომ წინასწარ მეთოდურად მოამზადა აღნიშნული კურსები. თეორიულ საკითხებთან ერთად კურსებზე მოსმენილ იქნა ლექტორ-მეთოდისტთა საუბრები პროპაგანდისტებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ.

პროპაგანდისტებს მიეცათ რჩევა, რომ 1968-70 წლებში რაც შეიძლება ღრმად და საფუძვლიანად დაეკავშირონ ლენინის შრომების შესწავლა დიდი ბელადის იუბილეასთვის მზადებას როგორც დაწყებითს პოლიტსკოლაში, ისე საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

მეთოდური საბჭოს წევრები პროფესორი შ. მისაბიშვილი, დოცენტი ლ. ჯანსაია, ა. იომტოვი, ვ. პანოვი, ი. ვეკუა და სხვები გამოვიდნენ ქალაქისა და ცალკეული რაიონების, პარტიულ და პროფკავშირულ სემინარებზე, სადაც მათ გააშუქეს საკითხები: თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებანი; პროპაგანდისტების როლი ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში; როგორ მივაღწიოთ მსმენელთა აქტივობას პოლიტიკური მეცადინეობის პროცესში; თვალსაჩინო მასალების გამოყენების შესახებ და სხვ.

ასევე აფხაზეთის ყველა საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტებთან შექმნილმა მეთოდურმა საბჭოებმა პროპაგანდისტებთან გასწიეს ანალოგიური შუმაობა.

დღეს მეთოდური საბჭოს წევრები დაესწრებიან პირველ მეცადინეობებს და შედეგებს შეჯამებთ საბჭოს მორიგ სხდომაზე.

მეთოდურმა საბჭომ მოამზადა და მალე გამოიცემა პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებაზე ბროშურა „პროპაგანდისტი და ცხოვრება“.

ვ. შონია.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლის გამგე, მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე.

ორ ათეულ წელზე მეტი პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება აქვს კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მეთოდისტს ს. პულუზაშვილს. დღეს იგი კვლავ თავის საყვარელ აუდიტორიაში შევა და პრობლემური სემინარის „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები“ პირველ მეცადინეობას გამართავს.

სურათზე: ს. პულუზაშვილი.

ჩვენს სკოლაში

უარშავ პროპაგანდისტად ვმუშაობდი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლაში, სადაც 17 მსმენელი იყო გაერთიანებული. სასწავლო წელი წარმომართა მსმენელთა აქტივობით, პოლიტიკური მომზადების მაღალი დონით, საპროგრამო საკითხებისადმი დიდი ინტერესით. ორგანიზებულად ეტარებდით ექსკურსიებს ბათუმის რევოლუციის მუზეუმში, ვეცნობოდით შესასწავლ თემებთან დაკავშირებულ მასალებს, ვნახულობდით ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ კინოსურათებს.

მსმენელები ზაფხულის პერიოდში აგრძელებდნენ მუშაობას საკუთარი იდეური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, კითხულობდნენ დამხმარე ლიტერატურას.

ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტბიურომ ბევრი რამ გააკეთა ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. დროულად დაკომპლექტდა პარტიული განათლების ქსელი, პროპაგანდისტებისათვის მოეწყო კურსები.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მომდინარე და მომავალი წელი ლენინური სწავლების წელია. ახლა უფრო მომზადებულნი ვართ სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მრავალგვარი თვალსაჩინოებით.

სკოლის მეცადინეობის პარალელურად მომავალში ეფექტურობა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბათუმში მომუშავე მეცნიერები, პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები.

დარწმუნებული ვარ, რომ ლენინური სწავლების წელი აღინიშნება ჩვენი სკოლის ყველა მსმენელის პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლებით.

ა. ხარებავა.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პროპაგანდისტი.

ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲜᲘ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲐᲦᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის მუშაოა კოლექტივი ახალ პირობებში ეწევა იდეურ ცხოვრებას. პოლიტიკურ სწავლებაში ჩაება 130 კომუნისტი და 40 უპარტიო. მეცადინეობს ერთი პოლიტსკოლა და ორი „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ სკოლა.

აქაურმა კომუნისტებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ხანდახან მეცადინეობა გაიმართოს ჩვენი პარტიისათვის წმიდათაწმიდა ადგილებში. ეს სურვილი დაკმაყოფილებულ იქნება იმით, რომ შესასწავლი მასალის მიხედვით მეცადინეობა მოეწყობა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, აგლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში და სხვა ისტორიულ ადგილებში.

ს. ხვამლელი.

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲘᲓᲔᲐᲠ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

გ. ჯუსოევი.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

◆

როცა კომუნისტები მეცადინეობის პროცესში შეძენილ ცოდნას მოიხმარებულად იყენებენ პრაქტიკაში.

ისე როგორც გასულ წელს, ახლაც ფრიად დიდი ყურადღება დაეთმობა კომუნისტებისა და უპარტიოების ეკონომიურ სწავლებას, პოლიტიკური ეკონომიისა და დაგეგმარების სრულყოფის აქტუალურ საკითხებს.

ამ ამოცანებს შეასრულებენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლები და სემინარები, აგრეთვე ეკონომიური კონფერენციები, რომლებიც ხშირად მოეწყობა როგორც საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე საქალაქო და რაიონული მასშტაბით.

გასულ წელს ეკონომიურმა კონფერენციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობაში და სოფელ დმანისის კოლმეურნეობაში, აგრეთვე ზნაურისა და ლენინგორის რაიონებში. ჩვენ დარწმუნდით, რომ ასეთ კონფერენციებს წარმატება ექნება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი წინასწარ იქნება გულმოდგინედ მომზადებული.

სერიოზული ყურადღება დაეთმობა ლექციური პროპაგანდის გაფართოებას დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. უკვე იკითხება ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. პარტიის საოლქო, ცხინვალის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორ-მოხსენებელთა მიერ უკვე 200-ზე მეტი ლექცია-მოხსენება მოეწყო ფიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ასეთი ლექციები და მოხსენებები კვლავაც მჭიდროდ დაუკავშირდება პარტიული განათლების ქსელის საპროგრამო მასალას. პოლიტსკოლების, სემინარების მუშაობას დახმარებას გაუწევენ აგრეთვე საზოგადოება „ცოდნა“ ლექტორები და მოხსენებელები. ისინი უკვე კარგახანია ახალგაზრდობის შორის გამოდიან ლექციებითა და მოხსენებებით კომკავშირის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. პროპაგანდისტული მუშაობა უკვე გაბმულს სოფლის კლუბებმა, ბიბლიოთეკებმა.

პარტიული განათლების ქსელს, კომუნისტების თეორიულ სწავლებას პრაქტიკულად შეუწყობენ ხელს პარტიული კაბინეტები, რომლებიც მსხვილ კოლმეურნეობებში, საწარმოებში საზოგადოებრივ საწყისებზე არიან შექმნილი.

ცხინვალის რაიონის სოფელ კვეხვის კოლმეურნეობაში უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ასეთი პარტიული კაბინეტი. კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიო აქტივისტები ხშირად ესწრებიან პარტიულ კაბინეტში ლექციებს და მოსსენებებს სხვადასხვა თემებზე. სოფლის აქტივისტები ეხმარებიან პარტიულ კაბინეტს, რომ უფრო საინტერესოდ მოაწყოს თავისი საქმიანობა. ასევე კარგად მუშაობს საზოგადოებრივ საწყისზე შექმნილი პარტიული კაბინეტი ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში.

უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიული კაბინეტები პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყებასთან დაკავშირებით უფრო გამოაცოცხლებენ მუშაობას და ხელს შეუწყობენ კომუნისტებს, უპარტიო ამხანაგებს თეორიული ცოდნის დაუფლებაში.

ენერგიული მუშაობა ჩატარდა აგრეთვე კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელის დასაკომპლექტებლად. შეირჩა პროპაგანდისტები, ლექტორები, ადგილებზე შეიძინეს პრაგრამები, ლიტერატურა, თვალსაჩინოების მასალები.

კომკავშირული ორგანიზაციები ამჟამად ემზადებიან 50 წლისთავის იუბილესათვის. ამ თარიღთან დაკავშირებით საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებში შეიქმნა კომკავშირული ბრიგადები, რომლებიც „ლენინური ორწლედის“ შრომითს ვახტზე დგანან. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ განსაკუთრებით დიდი შრომა გასწიეს მოეში პირუტყვისათვის საკვების დასაგროვებლად.

ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს ხილის კრეფა. „ლენინური ორწლედი“ მოკმედებაშია. კომკავშირელები ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რათა ხილის უხვი მოსავალი უდანაკარგოდ იქნას აღებული და დაბინავებული.

პარტიული განათლების ქსელი მუშაობას იწყებს. წელს საამისოდ უკეთესად მოეკმზადეთ. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მეცადინეობანი გაიმართება მაღალ იდეურ დონეზე, კომუნისტები, მშრომელი მასები მთელი მონდომებით შეუდგებიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლას.

სიტყვის ძალა

ა. ბერუჩავი.

ონის ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველადა პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი.

უკვე ორმოცი წელია, რაც პროპაგანდისტი ვარ. ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობით კარგახანია გამომიმუშავდა „საპირო იმუნიტეტი“. ასე უწოდებენ პროპაგანდისტები იმ ალღოს, რომლითაც დროის პარალელურად უნდა წარმართონ ხოლმე თავიანთი საქმიანობა.

ახლა ყოველმა პროპაგანდისტმა კარგად იცის, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა გამწვავდა და ამიტომ პროპაგანდისტთა პასუხისმგებლობაც ამ ეტაპზე ერთიორად გაიზარდა.

როგორც ძველ პროპაგანდისტს, შემიძლია გავიხსენო სამამულო ომის წლებში მომხდარი არაერთი ეპიზოდი, როცა მართალ სიტყვას გამარჯვებათა მოწყენინველ ფიფცლები ჩაუწერია ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ჩვენ, პროპაგანდისტები, კვლავ იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა მოწინავე რაზმში ჩავდგებით, პარტიამ ახლა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის საჭირო მართალი სიტყვის პროპაგანდისაკენ მოგვიხმო.

გასულ სასწავლო წელს ონის ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში, სადაც ახლა პროპაგანდისტად ვმუშაობ, 20 მსმენელი ირიცხებოდა. იყვნენ პარტიულებიც და უპარტიონიც, ყველანი მცირე განათლებით, რაც ერთგვარად ანელებდა მეცადინეობას. ამიტომ ვეთი ჩემი, როგორც პროპაგანდისტის, იდეური ცოდნის დონის ამაღლება პირველ რიგში დავაყენე, რადგან ვიცოდი ჩემი მომზადების დონე განსაზღვრავდა ხოლმე მეცადინეობის ხარისხს. საგულდაგულოდ, ზედმიწევნით ვამუშავებდი ახლადდასახსნელ მასალებს, ვიყენებდი დამხმარე ლიტერატურას. მეცადინეობის დროს ვცდილობდი ადგილზევე შემესწავლებინა მსმენელებისათვის ესა თუ ის მასალა, რადგან ისინი სუსტად ითვისებდნენ დასახელებული ლიტერატურიდან თემებს. მეცადინეობებს შორის დანიშნული მქონდა საკონსულტაციო დღე. მოსულ ამხანაგებს განვუმარტავდი გაუგებარ საკითხებს.

ახალი სასწავლო წლისათვის პოლიტსკოლა დაკომპლექტდა პარტიული, უპარტიო და კომკავშირული მუშაკებით. უმრავლესობა კომუნისტები არიან. სკოლა უზრუნველყოფილია კარგი ბინით, განათებით, ზამთრის სეზონისათვის გვექნება გათბობა, მოვიმარაგეთ მეცადინეობისათვის ყველა საჭირო ლიტერატურა.

პროპაგანდისტობა სერიოზული, ეოცსალი, შემოქმედებითი საქმიანობაა. ამიტომ საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ მართალი სიტყვის ძალა, გამოვანახოთ სწორი, ახლობელი გზა ადამიანთა გულისა და გონებისაკენ, ეს საშუალებას მოგვცემს ადვილად ვიმუშაოთ კომუნიზმის მშენებელი შეგნებული ადამიანები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

მოგზაურობა წვიდათანვიდა ადგილებში



ვ. ი. ლენინი გიმნაზიის დამთავრების წელს, სიმბირსკი, 1887 წლის ფოტო.

იქ, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვ. ი. ლენინი

ᲨᲘᲜᲐ ᲐᲠ ᲣᲝᲪᲜᲔᲑᲘᲐ ᲬᲐᲮᲝᲗ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲐ ᲕᲛᲐ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲐᲛᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲘᲜᲯᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲡᲣᲚᲘ.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲔᲡ ᲙᲝᲛᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ

ჩვენს კარე-მარეში

გვიპატრონებენ „კომუნისტის“ და საქმესის კორესპონდენტები

ფართოვდება კინოქსელი

ხაშურის რაიონის ორ სოფელში გაიხსნა ახალი კინოდანადგარი. ახლა სოფლებში მათი რიცხვი 15-მდე გაიზარდა.

რეკონსტრუირებულია სურამის კინოთეატრი, შეიცვალა სახურავი, შეკეთდა დარბაზი, საპარატო, მთავრდება გათბობის სამუშაოები. კინოთეატრს აქვს უახლესი აპარატურა. ხაშურის კინოთეატრში მიმდინარეობს მუშაობა ვენტილაციისა და გათბობის მოსაწყობად. ამ სამუშაოებზე იხარჯება 57 ათასი მანეთი.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულისთვის ახალი კინოდანადგარი ექნებათ აგრეთვე ვაყელ კოლმეურნეებს.

დ. ფარემუზოვი.

პოეზიის დღე სოფელ რუსთავში

ასპინძა. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ რუსთავში ზეიმით ჩაიარა ტრადიციულმა „პოეზიის დღემ — რუსთაველის დღემ“. იმ ადგილას, სადაც აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი და პოეტის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ობელისკი, თავი მოიყარეს ასპინძის რაიონის სოფლების მშრომელებმა, აგრეთვე ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენისა და ბოგდანოვკის მშრომელთა წარმომადგენლებმა. პოეზიის ზეიმზე ჩამოვიდა ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ბრიგინ აბაშიძის ხელმძღვანელობით.

პოეზიის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ბრ. აბაშიძე, სოფელ რუსთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. მაკაშვილმეშვილი, ახალციხის რაინაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ს. სანინაძე, პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივანი თ. ლაზარაშვილი, თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის დოცენტი ი. მაისურაძე, პარტიის ადიგენის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგე პ. ნორაბიშვილი, მწერლები რ. ჯაფარიძე, ზ. ფანჯიკიძე.

ახალი ლექსები წაიკითხეს ი. ნონეშვილმა, რ. მარბიანმა, ხ. ბერულავამ, ვ. ბარათაშვილმა, ჯ. ჩარგეშიანმა, ვ. ბორგანელმა, ო. შალამბერიძემ და სხვ. ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთის მოხუცმა კოლმეურნემ არჩილ ჯაბარიძემ, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, წაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან.

ფოლადის ბიბლიოთეკა

ბ. ცქიტიშვილი

ბანორძლიები ავადმყოფობის-შემდეგ ამ ... ეროვნული ... ებრიობას გამოაკლდა ... ...